გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 114

2023 წლის 9 ივნისი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2021 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს (ს/ნ 418469516) 2022 წლის ივნისიდან მიმდინარე პერიოდამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 24 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის
სტრატეგიული განვითარების სააგენტო

N(N)LE Gori Municipality
Strategic Development Agency

ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო"

(2022 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში)

2022 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს" 2022 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2022 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები; განახლდა სააგენტოს თანამშრომელთა მონაცემთა ბაზა.

მიმდინარე სამუშაოების შესრულების მონიტორინგის მიზნით, სააგენტოს თანამშრომლების მიერ პერიოდულად ხორციელდება გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მომზადება - ანგარიშის წარდგენა.

ფინანსური საქმიანობა:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2022 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2022 წლის ასიგნება 295000,00 ლარის ოდენობით. 2022 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2022 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი განისაზღვრა 13 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 139200.0 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა განისაზღვრა 17 ერთეულით და თანამდებობრივი სარგო 118680.0 ლარი.

2022 წლის ივლისში დაგვემატა სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტი (15000,00 ლარი), რის გამოც 2022 წლის ასიგნება დამტკიცდა 310000,00 ლარის ოდენობით. შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა გაიზარდა 19 ერთეულით და მთლიანი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 122239,00 ლარით.

2022 წლის დეკემბერში გაიცა ჯილდო თანამდებობრივი სარგოს მუხლში 6060.0 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა მუხლში 5744,0 ლარი.

2022 წლის გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2022 წელს მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 127322,15 ლარი; პრემია 6060,0 ლარი.

2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში პრემიის ჩათვლით დაიხარჯა - 123597,0 ლარი;

3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 105,0 ლარი;

4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 0 ლარი;

5. ოფისის ხარჯის მუხლში - 16284,46 ლარი;

6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 902,70 ლარი;

7. სხვა დანარჩენი საქ. და მომსახ. მუხლში – 1734,0 ლარი;

8. წარმომადგენლობით მუხლში - 4762,9 ლარი.

9. სოციალური უზრუნველყოფის (დეკრეტული) მუხლში - 6176,0 ლარი;

10. უნიფორმების შეძენის მუხლში - 1200,00 ლარი;

11. არაფინანსური აქტივებიდან (კომპ. ტექნიკა) – 2783,0 ლარი;

რაც შეეხება საკუთარ შემოსულობებს, ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის: ,,დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ" განსახოციერლებლად, სააგენტოს სასარგებლოდ იანვრის თვეში ჩაირიცხა მოპოვებული გრანტის მეორე და მესამე ტრანში 2541,30 ევროს (8513,29 ლარი) ოდენობით.

საკუთარი სახსრების წყაროდან დაიხარჯა - 5318,71 ლარი.

2022 წლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები და სხვა ანალოგიური მასალები).

2022 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

შესყიდვები

2022 წლის თავდაპირველად დამტკიცებულ შესყიდვების წლიური გეგმა იყო 15847,0 ლარი. შემდგომ პერიოდში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც 2022 წლის მიმდინარე დეკემბრის პერიოდისათვის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენს - 29914,0 ლარს. მიმდმინარე ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2022 წლის დამტკიცებული გეგმით.

2022 წლის პერიოდში არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა. ასევე არ განხორციელდა არც ერთი ელექტრონული ტენდერი.

რაც შეეხება დანარჩენ შესყიდვებს, ისინი განხორციელდა შესყიდვის კანონით გათვალისწინებული გამარტივებილი წესით.

2022 წლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 30, ჯამში 23044,0 (ოცდასამიათას ორმოცდაოთხი) ლარის ღირებულების.

საქმისწარმოება

2022 წლის განმავლობაში იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 245 (ორას ორმოცდახუთი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 175 (ასსამოცდათხუთმეტი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 100 (ასი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი, რომლის შედეგადაც მათთან გადაგზავნილია 112 წერილი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

მოწესრიგდა და დაარქივდა წინა წლების დოკუმენტაცია.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

აქტივობები

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2022 წელს მოქმედებდა სააგენტოს წესდებით გაწერილი მიზნის და ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო, როგორც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ ავტორი და კოორდინატორი, აქტიურად იყო ჩართულნი აღნიშნული პროექტის განხორციელების პროცესში. 2022 წლის პირველ კვარტალში, მომზადდა პროექტის მეოთხე შუალედური თხრობითი და ფინანსური ანგარიში და წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ძირითადი საქმიანობებიდან, 2022 წლის მეორე კვარტლის ბოლომდე, დასრულდა შემდეგი: ლომჭაბუკის მონუმენტისა და სკვერის რეაბილიტაცია; ლომჭაბუკის სკვერში არსებული შენობის (საგამოფენო სივრცე) რეაბილიტაცია; ავტო-პარკინგის მოწყობა; გორისციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკის მოწყობა; რუსთაველის მემორიალისა და მიმდებარე სკვერის რეაბილიტაცია; ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე სახელოსნოების (ტრადიციული რეწვისა და კულინარიის სივრცეები) მოწყობა; სუვენირების სარეალიზაციო სივრცისა და საზოგადოებრივი საპირფარეშოების მშენებლობა გორისციხის მიმდებარედ; ახალი შენობა „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, რომელიც მოიცავს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო/სამუშაო სივრცეს, ბარგის შესანახ საკნებსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს; ველო-ბილიკებისა და ველო-პარკინგის მოწყობა; გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია.

2021 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო მტკვარზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „ძველი ხიდის“ რესტავრაცია. გორის მუნიციპალიტეტის მერიამ მიმართა სსიპ ლევან

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ხიდის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციისთვის რეკომენდაციების გაცემის თხოვნით. ხანგრძლივის კვლების შედეგად, ბიურომ დაადგინა, რომ ხიდი არის წინაავარიულ მგომარეობაში და საჭიროებს აუცილებელ გამაგრებით სამუშაოებს, რაც არ იყო საგრანტო პროექტის გათვალისწინებული. შესაბამისად, შემუშავდა ახალი სამშენებლო პორექტი, რომელიც ითვალისწინებს ხიდის სრულ სარესტავრაციო და გამაგრებით სამუშაოებს. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, 2022 წლის დასაწყისში გაფორმდა ახალი შეთანხმება (ხელშეკრულების დამატება) ევროკავშირთან, რომლის საფუძველზეც შეიცვალა პროექტის პირობები. კერძოდ, გაიზარდა პროექტის განხორციელების ვადა, 2022 წლის 31 დეკემბრამდე და ასევე, გაიზარდა გორის მუნიციპალიტეტის ფინანსური თანამონაწილეობა (358836,36 ევრომდე), რათა შესაძლებელი გამხდარიყო „ძველი ხიდის“ რეაბილიტაცია.

- სტრატეგიული განვითარების სააგენტოს თანამშრომელი ზაურ როსტომაშვილი (ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი) პერიოდულად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან, როგორებიცაა თბილისის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი“, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობა, საერთაშორისო ორგანიზაცია “GIZ”-თან და ასევე სხვა ორგანიზაციებთან.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი გასცემდა რეკომენდაციებს მცირე ბიზნესის წარმომადგენლებისთვის. ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერმა, რეკომენდაციის სახით დახმარება გაუწია დაინტერესებულ პირებს. რეკომენდაციის ძირითად საკითხებს წარმოადგენდა სახელმწიფოსა და USAID-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო პროგრამების დეტალურად ახსნა და მიწოდება. ასევე, დიდ ინტერეს ავლენდნენ აგრო დაზღვევის შესახებ, მისი სტანდარტებისა და პირობების დეტალებზე.

სტრატეგიული განვითარების სააგენტო ასევე აქტიურად იყო ჩართული გამოცხადებულ კონკურსში, რომელიც ითვალისწინებს: მუნიციპალიტეტებში ენერგოეფექტურობის ამაღლების ღონისძიებებს; მუნიციპალური ენერგიის წარმოებისა და მომარაგების ხელშეწყობა განახლებადი ენერგიის წყაროების (RES) საშუალებით; ინოვაციური მდგრადი ენერგიის პროექტების შექმნა და მათი დაფინანსების ხელშეწყობა. აღნიშნულ პროექტს ანხორციელებენ საერთაშორისო ქალაქების პლატფორმა, Connective Cities და მისი ინიციატორები, Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ).

ზემოთ აღნიშნული პროექტის ფარგლებში მერიის წარმომადგენელთან ერთობლივი მუშაობით მოვახერხეთ პროექტის შემდეგ ეტაპზე გადასვლა, რაც უშუალოდ ითვალისწინებს საგრანტო განაცხადზე მუშაობას და განაცხადის წარდგენას დამფინასებლისთვის.

შემდგომ ეტაპზე, მომზადდა საპროექტო წინადადება, რომელიც მიზნადისახავს ერთ-ერთი საჯარო შენობის (საბავშვო ბაღის) „მწვანე შენობად“ გარდაქმნას, მზის ენერგიის გამოყენებით.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი ასევე აქტიურად აზიარებდა ბიზნესით დაინტერესებული პირებისათვის გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებსა და პროგრამებს სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდის საშუალებით.

ასევე, სააგენტო ეხმარებოდა USAID წარმომადგენლობას ინფორმაციის გავრცელებაში მიმდინარე საგრანტო კონკურსის შესახე: „მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროფესიული პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესება და განხორციელება კერძო სექტორის მოთხოვნების შესაბამისად“ და „ პროფესიული უნარების განვითარების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა რეგიონებში და პროექტის სამიზნე ჯგუფებისთვის“. ბიზნესის ურთიერთობის ოფიცერი დაუკავშირდა შიდა ქართლში არსებული მსხვილი და საშუალო საწარმოების ხელმძღვანელობას და გააცნო პროექტის დეტალები. პროექტის ფარგლებში აღნიშნული ინფორმაცია მეილის საშუალებით გაეგზავნა 50-ზე მეტ მეწარმესა და საწარმოს, ხოლო 20-ამდე პირთან მოხდა პირადი გასაუბრება.

ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი შეხვდა საჯარო სკოლის დირექტორებს და დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის შესთავაზა სატრენინგო მოდული, ბიზნესით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ბიზნესის უნარების ამაღლებასა და გამოცდილების გაზიარების კუთხით. ასევე, შეხვედრებისას სააგენტოს თანამშრომლებმა გააცნეს სხვადასხვა სახის სიახლეები სააგენტოს მიერ დაგეგმილ საქმიანობების შესახებ.

- მომზადდა და დაფინანსების მოპოვების მიზნით, საქართველოში იაპონიის საელჩოს საგრანტო პროგრამას, წარედგინა საპროექტო განაცხადი, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალური ტექნიკის შეძენას, რაც ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს მუშაობის ეფექტურობის გაძლიერებას.
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების გეგმის ფარგლებში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, 2019 წელს შექმნა სასოფლო-სამეურნოეო ვებ-გვერდი www.agrofarm.ge. აღნიშნული ვებ-გვერდზე გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს შეუძლიათ, უფასოდ განათავსონ ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული პროდუქციის შესახებ და პოტენციურ მომხმარებლებს შესთავაზონ გასაყიდი საქონელი და მომსახურება. სამომავლოდ, ვებ-გვერდი იფუნქციონირებს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გლეხებსა და ფერმერებს საშუალებას მისცემს, სახლიდან გაუსვლელად გაზარდონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია არამხოლოდ ადგილობრივ, არამედ უცხო ქვეყნების ბაზარზეც. ვებ-გვერდზე განცხადების განთავსება შესაძლებელია როგორც ფერმერებსთვის, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, შხამ ქიმიკატებითა თუ სასუქით მოვაჭრე მეწარმეებისთვის, კოოპერატივებისა და აგრო ცენტრებისთვის.

2022 წელის იანვრიდან სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად აგრძელებდნენ საიტისთვის ინფორმაციების მოიძიებას,რეგულალურად ხდებოდა საიტზე სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის განთავსება.ასევე სასარგებლო ინფორმაციების განთავსება ფრემერების ხელშესაწყობად.საიტის პოპულარიზაციისთვის მისი გავრცელება ხდება როგორც სოციალურ ქსელ Facebook-ში საიტისთვისვე შექმნილ გვერდზე ისე სხვადასხვა გაყიდვების ჯგუფებში რამაც თავის მხრივ შედეგი გამოიღო და Top.ge-ს რეიტინგებში საიტი უფრო პოპულალური ხდება.

სააგენტოს თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები საიტის გამართულად ფუნქციონირებაში.რეგულარულად ეცნობიან ინფორმაციას საიტზე რეგისტრირებულ მომხმარებლებზე.შეძლებისდაგვარად სცემენ მათ მიერ დასმულ კითხვებს პასუხს და ეხმარენიან ფერმერებს განათავსონ მათი პროდუქცია ვებ გვერდზე.

2022 წლის იანვრიდან 2022 წლის 13 მაისის მდგომარეობით სასარგებლო ინფორმაციების განყოფილებაში განთავსებულია 36 სტატია სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან.რომელიც დაეხმარება ფერმერებს სხვადასხვა სფეროში საქმიანობისთვის და მისცემს მათ რჩევებს და რეკომენდაციებს.

- სააგენტოს ჩართულობითა და მხარდაჭერით გორში გაიმართა "დასაქმების ფორუმი 2022". ღონისძიება დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, შიდა ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის და გორის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და პროექტ „ახალგაზრდული მეწარმეობა სოფლის განვითარებისთვის" მხარდაჭერით მოეწყო. სადაც 500 - ზე მეტ სამუშაოს მაძიებელს დასაქმების შესაძლებლობა მიეცა. ფორუმზე ვაკანსიები 30 - მდე კომპანიამ წარმოადგინა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ როგორც დიდი, ქსელური ბრენდების, ისე ადგილობრივი მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები. სამუშაო ადგილები კვების, წარმოების, სამშენებლო, საბანკო, სავაჭრო და მომსახურების სფეროებიდან იყო წარმოდგენილი. სამუშაოს მაძიებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ დამსაქმებლებს, გასაუბრებოდნენ სასურველი ვაკანსიის თაობაზე და წარმოეჩინათ საკუთარი უნარები პოტენციურ დამსაქმებლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გზით. ღონისძიებას შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციისა და გორის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.
- სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი სახელწოდებით: „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ" და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია Atelier Europeo-სთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. კომისიამ დადებითად შეაფასა განაცხადი და დააფინანსა პროექტი. 2021 დასაწყისიდან სააგენტომ დაიწყო მზადება და რიგი საორგანიზაციო საკითხების მოგვარება 2 იტალიელი მოხალისის მისაღებად, რომელთაც სააგენტომ უმასპინძლა 11 თვის ვადით. 2021 წლის 22 მაისს, მოხალისეები ჩამოვიდნენ საქართველოში და 11 თვის განმავლობაში, 2022 წლის აპრილამდე, მუშაობდნენ გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკისა და ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის კუთხით. მათი საქმიანობის მიზანი იყო გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კორონავირუსის Covid19-ის გავრცელების შედეგად ქვეყანაში არსებულმა რთულმა ეპიდ-ვითარებამ და აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულმა შეზღუდვებმა/რეგულაციებმა, მნიშვნელოვანი შეფერხებები გამოიწვია პროექტის განხორციელების პროცესში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა გარკვეული დაგეგმილი აქტივობების განხორციელება: პროექტის საწყის ეტაპზე, გორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის რეკომენდაციით, შეირჩა გორის მუნიციპალიტეტის რამდენიმე საჯარო სკოლა (ქ. გორი N 12 საჯარო სკოლა, სოფელ ვარიანის საჯარო სკოლა, სოფელ ზემო ნიქოზის საჯარო სკოლა), სადაც, სკოლის

მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების კვლევის მიზნით, მოხალისეებმა გამართეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრები. მსგავსი ტიპის შეხვედრა გაიმართა სოფელ მეჯვრისხევში მდებარე საჯარო ცენტრშიც. ასევე, შიდა ქართლის სამოქალაქო ფორუმის მოხალისეებთან თანამშრომლობით, გაიმართა შეხვედრა დევნილთა დასახლებაში მცხოვრებ ახალგაზრდებთანაც. შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის/უკუკავშირის საფუძველზე, მოხალისეებმა შეიმუშავეს შესაბამისი ტრენინგ-მოდულები სკოლის მოსწავლეებისთვის და 2021 წლის ოქტომბრის თვიდან 2022 წლის აპრილის თვემდე სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად, დაიწყო აღნიშნული ტრენინგების ჩატარება გორის მუნიციპალიტეტის ორ საჯარო სკოლაში: ქალაქ გორის მე-12 საჯარო სკოლასა და სოფელ ქვეშის საჯარო სკოლაში. სატრენინგო მოდულები შემუშავებულ იქნა შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით:

- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო „კომპასი“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით);
- ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო, „კომპასიტო“ (სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა განათლების სფეროში ბავშვებისთვის);
- ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების განათლების შესახებ;
- იუნესკოს უწყებათაშორისი სამშვიდობო განათლების პროგრამა (სახელმძღვანელო ფასილიტატორებისთვის);
- SALTO-YOUTH - ის ქსელის ვებ-გვერდზე განთავსებული, სწავლების, ახალგაზრდული საქმიანობებისა და ტრენინგების სახელმძღვანელოები.

ასევე, პროექტის ფარგლებში, (ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო” გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს (11 წლის ასაკიდან) სთავაზობდა ინგლისური ენის შემსწავლელ უფასო კურსს. კურსს უძღვებოდა სააგენტოს იტალიელი მოხალისე, ლაურა პისტარინი, რომელიც ფლობს კემბრიჯის სერთიფიკატს ინგლისური ენის უმაღლეს დონეში (Advanced English) და აქვს ინგლისური ენის სწავლების გამოცდილება იტალიის კოლეჯის სტუდენტებისთვის. სასწავლო კურსის განმავლობაში გამოყენებულ იქნა ენის სწავლების არაფორმალური მეთოდები: ინტერაქტიული აქტივობები, ბეჭდური მასალები, აუდიო-ვიზუალური მასალები და ასე შემდეგ...

პროექტის ფარგლებში, სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ ინიციატივით და უნივერსიტეტის ორგანიზებით, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრისას ჩვენი სააგენტოს იტალიელმა მოხალისემ, ლაურა პისტარინიმ, სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე პროექტის შესახებ, ასევე ისაუბრა მოხალისეობრივი სამუშაოს, ,,ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC)“, ERASMUS+ და იმ სხვა შესაძლებლობების შესახებ, რომელსაც სხვადასხვა ევროპული პროგრამები სთავაზობს ახალგაზრდებს. შეხვედრის ბოლოს გაიმართა დისკუსია კითხვა-პასუხის რეჟიმში.

გარდა ამისა, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, სააგენტოს იტალიელი მოხალისის, ლინა მიკოლუჩის მიერ, უნივერსიტეტის შენობაში, კვირაში ორჯერ ტარდებოდა საბაზისო იტალიური ენის შემსწავლელი უფასო კურსი გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

• სააგენტოს მთავარმა სპეციალისტმა, ნინო გოლოშვილმა, რომელიც განსაზღვრულია მერის ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარ კოორდინატორად გორის მუნიციპალიტეტში, არსებული გამოცდილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან ურთიერთანამშრომლობით შეიმუშავა სამოქალაქო ბიუჯეტის განხორციელების წესი. დადგენილება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2022 წლის 11 მარტს. ნინო გოლოშვილმა ასევე შეიმუშავა სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანია გორის მუნიციპალიტეტში, რაც გულისხმობს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას და გორის მუნიციპალიტეტში სოციალური პასუხისმგებლობის გაუმჯობესებას, ასევე მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში. იგი უძღვებოდა სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანიას, გაიმართა შეხვედრები მოსახლეობასთან უშუალოდ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების ჩართულობით.

• გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერების კუთხით სააგენტო თანამშრომლობს ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთან ერთობლივი თანამშრომლობით გორის მუნიციპალიტეტში შეირჩა 28 ახალგაზრდა, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს ახალგაზრდული კლუბის წევრებად, რომელთა მთავარი მიზანი იქნება სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანიაში მოხალისეობრივად ჩართვა და ინფორმაციის გავრცელება სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ გორის მუნიციპალიტეტში.

• საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით ნინო გოლოშვილი მუშაობს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდებზე, სადაც სააგენტოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაბამის აქტივობით დებს ინფორმაციას, ბევრ საინტერესო სიახლეს და საგრანტო კონკურსებს მოქალაქეებისათვის და არასამთავრობო სექტორისათვის, აქტიურად არის ჩართული მის პოპულარიზაციაში. ამ მიზნით მაისის თვეში ის იმყოფებოდა ტრენინგზე „საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარების გაუმჯობესება ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით“, რომელიც ჩატარდა „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივის“ პროექტის ფარგლებში, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით.

• 2022 წელს სააგენტოში დაიწყო თურქული ენის შემსწავლელი უფასო კურსი. კურსი მოიცავს თანამედროვე სალიტერატურო და სასაუბრო თურქული ენის საწყისი დონის (A1/1) ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის საბაზისო საკითხებს. კურსის მსვლელობისას გათვალისწინებულია კითხვის, წერის, მოსმენისა და ზეპირმეტყველების ელემენტარული უნარ-

ჩვევების გამომუშავება, ნაცნობი ყოველდღიური ხმარების გამონათქვამების გამოყენება, მარტივი წინადადებების აგების უნარის შეძენა და დიალოგში შესვლა მარტივ სასაუბრო თემებზე.

- 2022 წლის იანვრიდან სააგენტო აწარმოებს კალენდარს მიმდინარე გრანტების შესახებ, რომელიც გაუმარტივებს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას გრანტების მოძიებას, ასევე შეიქმნა დონორთა ბაზა და დღესაც აქტიურად აწარმოებენ სააგენტოს თანამშრომლები მოლაპარაკებებს უცხოურ ფონდებთან სხვადასხვა პროექტების განხორციელებისთვის და დაფინანსებითვის.
- რეორგანიზაცია - ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ ხელმძღვანელობა პერიოდულად ახორციელებს ორგანიზაციის მიერ მიღწეული შედეგების ანალიზს. ამასთანავე, აფასებს ორგანიზაციაში არსებულ მდგომარეობას, სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, რათა განისაზღვროს ორგანიზაციის ზოგადი ეფექტიანობის ხარისხი. შედეგად, შესაძლებელი ხდება სუსტი და ძლიერი მხარეების, მათ შორის გადაჭრის გზების გამოვლენა და შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა/განხორციელება.

უკანასკნელი (პოსტ-პანდემიური პერიოდის) ანალიზის შედეგად გამოვლენილი გარემოებების მიხედვით, საჭირო გახდა ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რათა ორგანიზაციას, დასახული ამოცანების შესრულების მიმართულებით, შეძლებოდა პანდემიამდელი პერიოდის მაჩვენებლის აღდგენა და საქმიანობების გაუმჯობესებისა და გამრავალფეროვნების პროცესის გაგრძელება. სააგენტოში ფუნქციონირებდა ორი სტრუქტურული ერთეული, ადმინისტრაციული განყოფილება და სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილება. სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების შემადგენლობაში მყოფი თანამშრომლებისთვის დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობები სრულიად შეესაბამება აღნიშნული სტრუქტურული ერთეულისთვის განსაზღვრულ ფუნქციებს. მაშინ როცა, ადმინისტრაციულ განყოფილებაში შემავალი თანამშრომლების უმრავლესობისთვის დაკისრებული მოვალეობები, შინაარსობრივად, არ წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ფუნქციებს. აღნიშნული გარემოება აზიანებდა შიდა კონტროლის მექანიზმს (რისი გაუმჯობესების რეკომენდაციაც სააგენტოს მიეცა 2021 წელს სააგენტოში ჩატარებული ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის შედეგად); გარკვეულწილად იწვევდა თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობების აღრევას და საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებდა სააგენტოს მიერ დასახული ამოცანების შესრულების პროცესზე. აღწერილი ვითარების შესაცვლელად, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სააგენტოს წესდებით განსაზღვრული ამოცანების შინაარსობრივი გამიჯვნა/დაჯგუფება და მათი შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისთვის დაკისრება, რათა მკვეთრად გამიჯნულიყო სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები. აღნიშნული მიზნად ისახავდა სტრუქტურული ერთეულების უფრო მეტად კოორდინირებულ, ორგანიზებულ სამუშაო გუნდებად ჩამოყალიბებას, რომელშიც იმუშავებენ და რომლებსაც უხელმძღვანელებენ ერთეულისთვის დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო კომპეტენციისა და უნარების მქონე თანამშრომლები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მივმართეთ ინიციატივით, ა(ა)იპ „გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ წესდებაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. საბოლოოდ, შევიდა ცვლილება წესდებაში - განისაზღვრა ორგანიზაციის სტრუქტურული

ერთეულები, თითოეულისთვის ცალ-ცალკე განისაზღვრა ამოცანები და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებია:

ა) ადმინისტრაციული განყოფილება;

ბ) მუნიციპალური განვითარების განყოფილება;

ბ) სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილება.

სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების ამოცანები

ადმინისტრაციული განყოფილების ამოცანები:

ა) სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებისა და ხელმძღვანელობის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ბ) სააგენტოს საქმისწარმოების, საკადრო, ფინანსური, ბუღალტრული და სამართლებრივი საკითხების უზრუნვეყოფა;

გ) საზოგადოებასთან ურთიერთობების უზრუნველყოფა.

მუნიციპალური განვითარების განყოფილების ამოცანები:

ა) მუნიციპალიტეტის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების მხარდაჭერა;

ბ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

გ) ფორმალური და არაფორმალური განათლების გაძლიერება;

დ) სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება;

ე) ინვესტორთა ხელშეწყობა მათი საქმიანობების ყველა ეტაპზე.

სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების ამოცანები:

ა) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ან/და მუნიციპალიტეტის მერიისათვის საკუთრებაში გადმოსაცემად განსაზღვრული უძრავი ქონების საკადასტრო აზომვითი ნახაზებისა და შენობა-ნაგებობების ტექნიკური პასპორტების მომზადება.

- 2022 წელს მუდმივად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იმ წერილების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების მომზადება და სხვა. გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული წერილობითი დავალებების შესრულება, შესაბამისი ფორმით, ევალებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების კონკრეტულ თანამშრომელს/თანამშრომლებს. ასევე ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოს შესახებ საპასუხო წერილის მომზადება და აღნუსხვა.

გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან წერილობით მიღებული დავალებების საფუძველზე, სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების, გზის ფენების და შიდა საუბნო გზების, სკვერების და მოედნების, ჭაბურღილების და ა.შ. საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების, ტექნიკური პასპორტების მომზადება, მიწის ნაკვეთების დაკოლვის სამუშაოების ჩატარება ხაზობრივი ნაგებობების წერტილოვანი საკადასტრო ნახაზების მომზადება, სიტუაციური ნახაზების და თემატური გეოინფორმაციული რუკების მომზადება

2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31დეკემბრამდე დახაზულია და აზომილია :

2180 884, 97 კვ.მ

სიტუაციური ნახაზი - 18 ცალი

დაკვალულია 76 წერტილი

შიდა აზომვითი ნახაზები -1933,59 კვ.მ

გაჩერების წერტილი კოორდინატებით - 242

დაგეგმარებულია - 106 სოფელი

(2023 წლის იანვრიდან 2023 წლის 19 მაისის მდგომარეობით განხორციელებული საქმიანობის ანგარიში)

2023 წლის დასაწყისში, სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად შემუშავდა ა(ა)იპ ,,გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“ 2023 წლის სამოქმედო გეგმა: განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობები, ინდიკატორები, არსებული და მისაღწევი შედეგები, განხორციელების რისკები, სამუშაოს შესრულების ვადები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. ასევე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებული 2023 წლის საშტატო განრიგის საფუძველზე, გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები.

ფინანსური საქმიანობა

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს 2023 წლის ბიუჯეტი დაგეგმვის პროცესში განსაზღვრული იყო, როგორც გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დამტკიცებული სუბსიდია. გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2023 წლის I კვარტლის ასიგნება 89544,00 ლარის ოდენობით. 2023 წლის იანვარში გორის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმდა და დირექტორის მიერ დამტკიცდა 2023 წლის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში. საშტატო განრიგი I კვარტალში განისაზღვრა 13 საშტატო ერთეულით, თანამდებობრივი სარგო - 40352,00 ლარით. ასევე შტატგარეშე მომუშავეთა რაოდენობა 2023 წლის I კვარტალში იყო 16 ერთეული თანამდებობრივი სარგო 31775,00 ლარი.

2023 წლის 19 მაისის ჩათვლით გადარიცხვითი ოპერაციები განხორციელებულია კანონმდებლობის შესაბამისად.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მიერ 2023 წლის 19 მაისის ჩათვლით მუხლობრივად გაწეული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურების მუხლში (საშტატო განრიგის მიხედვით) დაიხარჯა - 48492,00 ლარი;
2. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში დაიხარჯა - 41349,00 ლარი;
3. მივლინების მუხლში ქვეყნის შიგნით - 432,0 ლარი;
4. მივლინების მუხლში ქვეყნის გარეთ - 1235,0 ლარი;
5. ოფისის ხარჯის მუხლში - 14467.75 ლარი;
6. ტრანსპორტის დაქირავების მუხლში - 675,66 ლარი;
7. სოციალური უზრუნველყოფა (დეკრეტული) – 1202.0 ლარი;
8. წარმომადგენლობით მუხლში - 2686.5 ლარი.
9. შენობის მიმდ. რემონტის ხარჯის მუხლში - 2930.0

2023 წლის I კვარტლის ბიუჯეტიდან დაიფარა კომუნალური გადასახადები და შესყიდულ იქნა საჭირო საოფისე ნივთები (საკანცელარიო ნივთები, საბეჭდი ქაღალდი, CD დისკები, კარტრიჯები და სხვა ანალოგიური მასალები).

2023 წლის I კვარტლის ბიუჯეტი მაქსიმალურად პასუხობდა მოთხოვნილებებს. თანხების ხარჯვა ხორციელდებოდა წინასწარ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად და გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად.

შესყიდვები:

2023 წლის თავდაპირველად დამტკიცებული შესყიდვების წლიური გეგმა იყო 19260.0 ლარი. შემდგომ პერიოდში განხორციელდა ცვლილებები, რის შემდგომაც 2023 წლის 19 მაისის პერიოდისათვის დაზუსტებული შესყიდვების წლიური გეგმა შეადგენდა - 32280,0 ლარს. აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული იყო აუცილებელ შესყიდვებთან, რომელიც არ იყო გათვალისწინებული 2023 წლის დამტკიცებული გეგმით.

2023 წლის I კვარტალში არ განხორციელებულა კონსოლიდირებული შესყიდვა. ასევე არ განხორციელებულა არც ერთი ელექტრონული ტენდერი.

რაც შეეხება დანარჩენ შესყიდვებს ისინი განხორციელდა შესყიდვის კანონით გათვალისწინებული გამარტივებილი წესით, რადგან შესყიდვების კანონის მიხედვით შესყიდვების მთლიანი წლიური CPV_ოდენობა არ აღემატებოდა 5000 ლარს (კანონით დადგენილ ზღვარს).

2023 წლის I კვარტლის განმავლობაში გამარტივებული შესყიდვის წესით განხორციელებული შესყიდვების (დადებული ხელშეკრულებები) რაოდენობა არის 20, ჯამში 13226,10 (ცამეტიათასორასოცდაექვსი ლარი და 10თ) ლარის ღირებულების.

საქმისწარმოება:

2023 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით იწარმოა შემოსული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოში შემოსულია 107 (ასშვიდი) წერილი, რომელიც გატარდა და გადაეცა შემდგომი რეაგირებისთვის, ასევე იწარმოა გასული დოკუმენტაციის რეესტრი, რომლის შედეგადაც სააგენტოდან გასულია 90 (ოთხმოცდაათი) წერილი .ასევე იწარმოვა ბრძანებები, სააგენტოს მიერ გაცემულია 32 (ოცდათორმეტი) ბრძანება .სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისათვის ხდებოდა წერილების დროული მიწოდება და რეესტრი, ასევე მათი წერილების აღრიცხვა და შესრულების ვადების მონიტორინგი.

ასევე უზრუნველყოფილ იქნა თანამშრომელთა სამივლინებო დოკუმენტაციის მოწესრიგება და შემდგომში ბუღალტერისთვის გადაცემა..

ამ დროის მანძილზე ხორციელდებოდა თანამშრომელთა საჭიროებების კვლევა, რათა ხელი არ შეშლოდათ გამართულ ფუნქციონირებაში.

ასევე ხორციელდება დაწყებულ საქმიანობებზე მონიტორინგი.

აქტივობები:

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2023 წელს მოქმედებდა სააგენტოს წესდებით გაწერილი მიზნის და ამოცანების შესაბამისად, კერძოდ:

- 2022 წლის მეორე ნახევარში გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს სპეციალისტის, თამარ კაპანაძის მიერ ინიცირებულ იქნა „ორგანიზაციული განვითარების სტრატეგია 2023-2026“, რომელსაც საბოლოო სახე მიეცა 2023 წლის პირველ კვარტალში ორგანიზაციის თანამშრომლებთან სამუშაო შეხვედრისა და რეკომენდაციების საფუძველზე. სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა სააგენტოს თანამშრომლებისგან განიხილა სააგენტოს მიერ აქამდე განხორციელებული საქმიანობები და განსაზღვრა მომდევნო ოთხი წლის სტრატეგიული მიმართულებები და საქმიანობები. სტრატეგია წარმოადგენს სახელმძღვანელო მასალას სამომავლო საქმიანობების დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტი განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებების მეშვეობით. სტრატეგია მოიცავს გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელთა მიზანია სააგენტოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი თემების, ბიზნესის წარმომადგენლების და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების ზრდასა და უნარების განვითარებას.
- სააგენტოს მთავარმა სპეციალისტმა, ნინო გოლოშვილმა, რომელიც განსაზღვრულია მერის ბრძანების საფუძველზე სამოქალაქო ბიუჯეტის მთავარ კოორდინატორად გორის მუნიციპალიტეტში, არსებული გამოცდილების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან და საკრებულოსთან ურთიერთანამშრომლობით შეიმუშავა სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამა 2024. ნინო გოლოშვილი გახლავთ სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს მდივანი და სამოქალაქო ბიუჯეტის განვითარების პროგრამის საბჭოს შეხვედრების ორგანიზებასა, ფასილიტაციაში და სხდომის ოქმების შემუშავებაში იღებს მონაწილეობას.
- 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“ განხორციელება. გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, როგორც პროექტის ავტორმა და კოორდინატორმა, 2023 წლის პირველ კვარტალში, მოამზადა პროექტის საბოლოო თხრობითი და ფინანსური ანგარიში, რომელიც წარედგინა ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში.

წარმოგიდგენთ მოკლე ინფორმაციას პროექტის შესახებ:

პროექტის დასახელება: „ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის“

განხორციელების პერიოდი: 01.02.2018 – 31.12.2022

ბიუჯეტი: 958.836,3 ევრო.

გორის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ საპილოტე პროექტი: “ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის.“ პროექტის განსახორციელებლად ევროკავშირმა გამოყო 600,000 ევრო გრანტის სახით. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 958.836,3 ევროა, გორის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსება კი 358836,36 ევროს შეადგენს. გორის მუნიციპალიტეტი შეირჩა ევროკომისიის მიერ, ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ საპილოტე საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

პროექტის ხანგრძლივობა შეადგენდა 59 თვეს და მისი განხორციელება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულდა.

პროექტის მიზანი ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობაა მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. პროექტი ითვალისწინებს ტურიზმის სექტორში ჩართული მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა მხარდაჭერას მათთვის ახალი შესაძლებლობების შექმნითა და კერძო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის დამყარების გზით. პროექტის მნიშვნელოვანი ამოცანაა გორის მუნიციპალიტეტის უფრო მიმზიდველ ადგილად გადაქცევა ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით, რათა გაიზარდოს ტურისტთა რაოდენობა და ინვესტიციები ტურიზმის სექტორში.

ძირითადი საქმიანობები:

პროექტის ძირითადი საქმიანობებია: „გამარჯვების მემორიალის“ (ლომჭაბუკი) სკვერისა და სკვერში არსებული საგამოფენო სივრცის რეაბილიტაცია, სკვერში კაფის მოწყობისთვის საჭირო სივრცის შექმნა. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის, საკონფორენციო და სამუშაო სივრცეების მშენებლობა, პარკინგისა და სანიტარული ობიექტის მოწყობა, ქალაქის ცენტრსა და ისტორიულ ნაწილში ველობილიკების, გასაჩერებელი ადგილებისა და ველოსიპედების გაქირავების სერვისის შექმნა, სუვენირებისა და სხვა ადგილობრივი პროდუქტის სარეალიზაციო სივრცის შექმნა, გორის ეთნოგრაფიული მუზეუმში ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა, გორისციხის გარშემო საფეხმავლო ბილიკის მოწყობა, გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია და მდინარე მტკვარზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, „ძველი ხიდის“ რეაბილიტაცია.

განხორციელებული საქმიანობების შესახებ:

საქმიანობა #1 – „ლომჭაბუკის“ სკვერი

დასრულდა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე, 8350 კვ/მ ფართობის „ლომჭაბუკის“ სკვერისა და სკვერში მდებარე „ლომჭაბუკის“ ძეგლის პედესტალის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

საქმიანობა #2 – საგამოფენო დარბაზი

მიმდინარე პერიოდში დასრულდა, „ლომჭაბუკის“ სკვერში არსებული, 230 კვ/მ ფართობის, საგამოფენო დარბაზის სარემონტო სამუშაოები.

საქმიანობა #3 – შოთა რუსთაველი მემორიალი და სკვერი

რეაბილიტირდა გორისციხის ფერდობზე მდებარე შოთა რუსთველის მემორიალის მონუმენტი და სკვერი, რომლის ფართობია 1200 კვ/მ.

საქმიანობა #4 – ავტოსადგომი

ქალაქის ვიზიტორებისთვის, „ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ, 2750 კვ/მ-ის ტერიტორიაზე მოეწყო ავტოსადგომი.

საქმიანობა #5 – საფეხმავლო ბილიკი

გორისციხის ფერდობებზე მოეწყო 583 მ. სიგრძის საფეხმავლო ბილიკი.

საქმიანობა #6 – ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების სახელოსნოები

გორის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე აშენდა შენობა (203 კვ/მ) ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების სახელოსნოების მოსაწყობად. დაგეგმილია შემდეგი სივრცეების მოწყობა: 1. სამკერვალო ტრადიციული სამოსის, ფარდაგებისა და ქარგვისთვის; 2. ტრადიციული ტკბილეულის მაღაზია; 3 ალკოჰოლური სასმელების მაღაზია; 4. თონე ტრადიციული პურის დასამზადებლად. აღსანიშნავია, რომ ვიზიტორებს ექნებათ საშუალება დაესწრონ მზადების პროცესს და თავადაც მიიღონ მონაწილეობა.

პროექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახელოსნოები იჯარის წესით გადაეცა კერძო სექტორს.

საქმიანობა #7 – „ძირითადი შენობა“

„ლომჭაბუკის“ სკვერის მიმდებარედ დასრულდა ე. წ, „ძირითადი შენობის“ (291.5 კვ/მ) მშენებლობა, რომელიც აერთიანებს ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, საკონფერენციო დარბაზს, სატრენინგო და სამუშაო სივრცეებს, ბარგის შესანახ ოთახსა და საზოგადოებრივ საპირფარეშოებს. მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს შენობის აღჭურვას ავეჯითა და ტექნიკით.

საქმიანობა #8 - სავაჭრო სივრცე და საზოგადოებრივი საპირფარეშო

პროექტი ითვალისწინებს სუვენირებისა და ტრადიციული ნაწარმის სავაჭრო სივრცისთვის და საზოგადოებრივი საპირფარეშოებისთვის შენობის (310,3 კვ/მ) აშენებას გორისციხის ფერდობზე. მშენებლობის საწყის ეტაპზე გამოვლინდა ძველი ნასახლარი, რის გამოც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნით შეჩერდა სამუშაოები. სააგენტოსთან გამართული კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების შემდეგ, მიღწეულ იქნა შეთანხმება მშენებლობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

პროექტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სახელოსნოები იჯარის წესით გადაეცა კერძო სექტორს.

საქმიანობა #9 - ველო-ბილიკი

პროექტით გათვალისწინებულია 4500 მ. სიგრძის ველო-ბილიკის მოწყობა. სამწუხაროდ, პირველად გამოცხადებული ტენდერი უშედეგოდ დამთავრდა. მომდევნო თვეების განმავლობაში, კორონა ვირუსის გავრცელების პრევენციისთვის დაწესებული შეზღუდვების გამო, ვეღარ გამოცხადდა ტენდერი და მხოლოდ 12 ივნისს მოხერხდა ხელახლად გამოცხადება ტენდერისა, რომელიც 10 ივლისს დასრულდება.

საქმიანობა #10 - გორისციხესთან მისასვლელი ძირითადი ბილიკის რეაბილიტაცია

საქმიანობა #11 - „ძველი ხიდის“ რეაბილიტაცია.

პროექტის ბოლო ეტაპზე განხორციელდა, სამეფოს ქუჩაზე მდებარე ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლის, ე.წ. „ძველი ხიდის“ რეაბილიტაცია (გამაგრება/რესტავრაცია).

სხვა საქმიანობები

აღსანიშნავია, რომ პროექტი, გარდა ინფრასტრუქტურული და სამშენებლო სამუშაოებისა, ითვალისწინებს სხვადასხვა აქტივობების განხორციელებას ტურიზმის სფეროში დასაქმებული ან/და ტურიზმის სფეროთი დაინტერესებული ადამიანების, მცირე მეწარმეების, სტუდენტების/ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გასაძლიერებლად. ამ მიზნის მისაღწევად გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმის ტექსტი და სპეციალური შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტთა/ახალგაზრდების სტაჟირების/პრაქტიკის პროგრამის ძირითად საკითხებს. ამავდროულად, ღია კონკურსის წესით შერჩეულმა სპეციალისტმა შეიმუშავა სტუდენტთა/ახალგაზრდების სტაჟირების/პრაქტიკის პროგრამა.

- 3 თებერვალს, გორს ეწვია ევროკომისიის დელეგაცია, საქართველოს, მოლდოვასა და ეკონომიკური საინვესტიციო გეგმის განყოფილების ხელმძღვანელ, დიანა იაბლონსკასთან ერთად. დელეგაციას უმასპინძლეს გორის მუნიციპალიტეტის მერმა, ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა, საკრებულოს თამჯდომარემ, დავით რაზმაძემ და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა, მიხეილ შაყულაშვილმა, ადგილობრივი და რეგიონული ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან ერთად. ვიზიტისას, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლაშა ხმალაძემ, დელეგაციის წევრებს დეტალურად გააცნო პროექტ: "ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება მდგრადი ზრდისთვის" ფარგლებში განხორციელებული საქმიანობები.
- სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიულმა განვითარების სააგენტომ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად დაგეგმა სამოქალაქო ბიუჯეტის საინფორმაციო კამპანია „მე ვგეგმავ ჩემი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს". საინფორმაციო კამპანიის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დონის გაუმჯობესება/ამაღლება და მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში, ახალგაზრდების ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. კამპანია რამდენიმე ეტაპისგან შედგება: 1. სამოქალაქო ბიუჯეტის ახალგაზრდული კლუბის ჩამოყალიბება, წევრების შესაძლებლობების გაძლიერება; შერჩეულ ახალგაზრდებს ექნებათ შესაძლებლობა ტრენინგების საშუალებით აიმაღლონ ცოდნა შემდეგი მიმართულებით: ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტენციები, მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმები ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში, კომუნიკაცია და პრეზენტაციის უნარები. 2. სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამაში ახალგაზრდების ჩართულობა; ტრენინგის შემდეგ კლუბის წევრებს ექნებათ საშუალება აქტიურად ჩაერთონ სამოქალაქო ბიუჯეტის მიმდინარე პროცესებში, გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მიიღონ მონაწილეობა საინფორმაციო შეხვედრებში, ადგილობრივ მოსახლეობას გაუწიონ კონსულტაციები სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო განაცხადის შექმნის პროცესში, გამართონ საკონსულტაციო შეხვედრები (ანაზღაურებადი). 3. კონკურსი კლუბის წევრებისთვის. მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი საპროექტო განაცხადები, რომელიც წარმოდგენილი იქნება კლუბის წევრების კონსულტაციების

შედეგად, განიხილავს და შეარჩევს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: კრეატიული და ახალგაზრდული. კამპანიის განხორციელების პერიოდი 2023 წლის 15 მაისი-31 ოქტომბერი. წარმატებულ კლუბის წევრებს გადაეცემათ სერთიფიკატები სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისათვის.

- გორის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების გაძლიერების კუთხით სააგენტო ბოლო წლების განმავლობაში მუშაობს აქტიურად. გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო 2017 წლიდან არის ევროპის მოხალისეობრივი სერვისის (EVS) აკრედიტებული ორგანიზაცია. 2018 წელს სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი „ახალგაზრდების განვითარება განათლების გზით“ და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ERASMUS+-ის პროგრამის საგრანტო კონკურში მონაწილეობისათვის. წარდგენილი საპროექტო განაცხადი მოწონებულ იქნა ERASMUS+ -ის პროგრამის იტალიის ეროვნული სააგენტოს მიერ და 2019 წლის მარტიდან სტრატეგიული განვითარების სააგენტო იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია, Atelier Europeo-სთან ერთად, ახორციელებდა Erasmus+ პროგრამის მიერ დაფინანსებულ პროექტს. 2020 წელს სააგენტომ შეიმუშავა საპროექტო განაცხადი „დიახ, ახალგაზრდებს შეუძლიათ!“ და იტალიურ პარტნიორ ორგანიზაცია Atelier Europeo-სთან ერთად წარადგინა ევროკომისიის ევროპის სოლიდარობის კორპუსის (ESC) პროგრამის საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის. კომისიამ დადებითად შეაფასა განაცხადი და დააფინანსა პროექტი. 2019 წლიდან დღემდე სააგენტომ უმასპინძლა ექვს მოხალისეს. აღნიშნული გამოცდილებიდან გამომდინარე 2020 წელს სააგენტომ მოიპოვა ევროპის სოლიდარობის კორპუსის ESC აკრედიტაცია - როგორც მასპინძელი, ასევე გამგზავნი /მხარდამჭერი ორგანიზაცია. 2023 წლის იანვრიდან სააგენტომ დაიწყო ევროპის სოლიდარობის კორპუსის საიტზე პოტენციური პარტნიორების ძებნა მოხალისეობრივი პროექტის განხორციელების მიზნით დაფინანსების მოსაპოვებლად და გააცნო შესაბამის კანდიდატურებს ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ. ამ ეტაპზე შერჩეულია გერმანული ორგანიზაცია „EIF“-თან, რომელიც არის ინტერკულტურული ორგანიზაცია და 10 წელზე მეტია რაც მოხალისეებს აგზავნის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ორგანიზაცია ამ ეტაპზე ახორციელებს პროექტს „აღმოაჩინე კავკასია“. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდა მოხალისეები ჩაერთვებიან ორგანიზაციის საქმიანობაში, გააძლიერებენ გორის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების კომპეტენციებს. სააგენტომ უკვე ჩაატარა რამდენიმე გასაუბრება გერმანული ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურებთან და ამ ეტაპზე მიმდინარეობს საორგანიზაციო საკითხების შემუშავება.

- საერთაშორისო პარტნიორული ურთიერთთანამშრომლობის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მუნიციპალური განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნინო გოლოშვილი აქტიურად მუშაობს პარტნიორების მოძიების კუთხით. სწორედ ამ მიზნით, ის აქტიურად იძიებს ინფორმაციებს პლატფორმაზე www.salto-youth.net (აღნიშნული პლატფორმა განკუთვნილია ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში ორგანიზაციებსა და ახალგაზრდებს შესთავაზოს კონკურსის საფუძველზე ტრენინგები და სასწავლო კურსები). აღნიშნულ საიტზე ნინო გოლოშვილის გაგზავნილი სააპლიკაციო ფორმის

შეფასების შედეგად იგი შეირჩა და მიიღო მონაწილეობა პოლონეთში, სასწავლო ტრენინგ კურსში: „POLISH YOUR YOUTHWORK", რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იმ ორგანიზაციების მხარდაჭერა , რომლებსაც აქვთ ევროპის სოლიდარობის კორპუსის აკრედიტაცია. ტრენინგის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაეუმჯობესებინათ ახალგაზრდული მუშაობის ხარისხი, კომპეტენციების გაუმჯობესება შედეგ საკითხებში: ორგანიზაციების მხარდაჭერა საერთაშორისო მოხალისეების მოძიებაში, ჩართვა მათ ყოველდღიურ ახალგაზრდულ საქმიანობაში, რისკის შეფასების განხილვა და სტრატეგიები, გამოცდილების და კარგი/ცუდი პრაქტიკის გაცვლა, ახალგაზრდული მუშაკების მდგრადობის გაძლიერება და საერთაშორისო პარტნიორობის სივრცის შექმნა.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ განაახლა რეგისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების საგრანტო მენეჯმენტის სისტემაში: (https://sam.gov/SAM/) და მოიპოვა: „Unique Entity Identifier (UEI)", რაც იძლევა აშშ-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობას.
- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ერთ ერთი მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მხარდაჭერა და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ინვესტორთა ხელშეწყობა მათი საქმიანობის ყველა ეტაპზე. სწორედ ამ მიზნით გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო წარმოდგენილი იყო „სკოლა-ბიზნეს ფორუმზე", რომელიც განხორციელდა USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში გორში. სკოლა - ბიზნესის ფორუმის მსვლელობისას მოეწყო შიდა ქართლის სკოლების მიერ წარმოდგენილი პროექტების გამოფენა. კერძო სექტორის წარმომადგენლები გაეცნენ უფროსკლასელ მოსწავლეებს და მათ მიერ შექმნილი პროექტების შესახებ მიიღეს ინფორმაცია. ამ დღისათვის მოსწავლეებმა არაერთი ინიციატივა მოამზადეს, რომელიც ახალგაზრდების მხარდაჭერასა და მათ წინაშე არსებული საჭიროებების გადაჭრას ისახავდა მიზნად.
- პარტნიორული ურთიერთობის დამყარების მიზნით ადგილობრივ ორგანიზაციებთან გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ მიიღო მონაწილეობა და ორგანიზება გაუწია გორში ტრენინგს „საპროექტო მენეჯმენტის" შესახებ. ტრენინგის მონაწილეებს ჩაუტარდათ სემინარები შემდეგ თემებზე: პროექტის მართვის საფუძვლები, პროექტის იდეის დახვეწა, საპროექტო განაცხადის შედგენის სპეციფიკა, ბიუჯეტის შედგენა, პროექტის დაფინანსების საკითხები. მოგეხსენებათ რომ, კულტურის სფეროს თანამედროვე მართვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამულ და საგრანტო დაფინანსებას, შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება ისეთ სპეციფიკურ ცოდნაზე, რომელიც განმცხადებლებს საშუალებას აძლევს შექმნას კონკურენტურიანი საპროექტო განაცხადი და დაფინანსება მოიპოვოს. სტრატეგიული განვითარების სააგენტო ყოველთვის მზადაა დაეხმაროს მოქალაქეებს ამ მიმართულებით, რათა მოხდეს კერძო სექტორის განვითარება და შესაბამისად გაიზარდოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური მაჩვენებლები. ტრენინგის ტრენერები იყვნენ ლევან ხეთაგური, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ტექნიკური უნივერსიტეტის იუნესკოს კათედრის გამგე, ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. იური მღებრიშვილი, პროფესორი, დოქტორი, ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. დავით ჭიკაძე, საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მკვლევარი.

- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით გორში გაიმართა შეხვედრა თემაზე "ბრენდირებისა და მარკეტინგის მნიშვნელობა ბიზნესის განვითარების გზაზე", რომელიც გამართა ბიზნესის საკონსულტაციო კომპანია „Fireflies“. შეხვედრას გაუძღვა „Fireflies-ის“ დამფუძნებელი ანი მიხანაშვილი, ხოლო მოწვეული სპიკერის სტატუსით აუდიტორიას საკუთარი გამოცდილება, საექსპორტო ბაზრების ათვისებაში ბრენდირებისა და მარკეტინგის მნიშვნელობის შესახებ, გაუზიარა ღვინის ბრენდი „ამოსას“ დამფუძნებელმა თამარ მარკოზაშვილმა. შეხვედრის მონაწილეებს კითხვა-პასუხის ფორმატით შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე.
- სააგენტო ადგილობრივი ეკონომიკური განვითარებისა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით აქტიურად თანამშრომლობს ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებთან, კერძოდ კომპანია ს.ს. „ნიკორასთან“ 2019 წლიდან დღემდე. ყოველწლიურად აღნიშნული კომპანია სააგენტოს მხარდაჭერით მართავს საინფორმაციო შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან დასაქმების მიზნით. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ შესაბამისი განათლების, გამოცდილებისა და უნარების მქონე ყველა მსურველს.
- გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით დაიწყო „მეწარმეობის ხელშეწყობის კამპანია“, რომლის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართა საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. ინდივიდუალური შეხვედრები შედგა გორის მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციული ერთეულის (ატენი,ბერბუკი,დიცი,ვარიანი,კარალეთი,მერეთი,მეჯვრისხევი,ნიქოზი,ტირძნისი,ტყვიავი,შინდისი,ძევერა) მერის წარმომადგენლებთან, სათემო ლიდერებთან, პედაგოგებთან და ფერმერებთან. შეხვედრები მიზნად ისახავდა გორის მუნიციპალიტეტის განვითარების ხელშეწყობას, ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნასა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას. მაისის თვეში კერძო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობების გაძლიერების მიზნით შემუშავდა კონცეფცია, შეიქმნა მეწარმეთა ბაზა. „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში მიმდინარეობდა ინდივიდუალური კონსულტაციები როგორც ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე დაინტერესებულ მოქალაქეებთან.
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ორგანიზებითა და ორგანიზაცია „ჰელვიტასის“ მიერ გორში გაიმართა შეხვედრა, რომლის მიზანი იყო არაფორმალურ გარემოში გორის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება მიზნად ისახავს ბიზნესის წარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას. ეს არის მონაწილეობითი პროცესი, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობების დამყარებას. პროცესი მოიაზრებს ასევე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას. ასევე 14-16 მაისს ბიზნესთან ურთიერთობის ოფიცერი მთავარი სპეციალისტი ზაურ როსტომაშვილი მიწვეულ იქნა ორგანიზაცია „ჰელვიტასის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე, ქალაქ ფოთში, სადაც გაიმართა ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების სასწავლო ტრენინგი. ტრენინგი მოიცავდა სამიზნე

ჯგუფის შერჩევის სპეციფიკას, გარე ინვესტორებთან ახალი და არსებული საწარმოების თანამშრომლობას. ასევე შეხვედრაზე აქცენტი გაკეთდა ეკონომიკის კლასიფიკაციებზე, როგორებიცაა: მიკრო, მეზო, მაკრო და მეტა ეკონომიკის დონეები, რა სახის დამოკიდებულებაა მათ შორის და კონკრეტულად რა ნაბიჯების გადადგმაა საჭირო ეკონომიკის მიკრო დონიდან მეზო დონემდე მისაღწევად.

- 2023 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით სააგენტოს თანამშრომლები პერიოდულად დებდნენ სტატიებს სააგენტოს საკუთრებაში არსებულ ვებ-გვერდზე agrofarm.ge-ზე. საიტზე იდებოდა განცხადებები რომელიც მოწოდებული იყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების მხრიდან .ასევე, სააგენტოს თანამშრომლების მხრიდან ხდებოდა საიტზე სასარგებლო ინფორმაციების დადება, რომელიც წაადგებოდათ შემდგომ საქმიანობაში ფერმერებს.
- სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების კუთხით გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს მუნიციპალური განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი ზაურ როსტომაშვილი პერიოდულად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან; როგორებიცაა თბილისის ბიზნეს აქსელერატორი „სპარკი“, „ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის სამინისტროს ადგილობრივ წარმომადგენლობა, საერთაშორისო ორგანიზაცია “GIZ”-თან.
- 6 მაისს, თბილისში, „ექსპო ჯორჯიაში“ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობამ ევროპის დღისადმი მიძღვნილი მასშტაბური ღონისძიება გამართა. ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, მთელი დღის განმავლობაში, ყველა ასაკის ადამიანისთვის მრავალფეროვანი აქტივობები იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას უამრავი ადამიანი დაესწრო, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაცია მიეღოთ, სახალისო და ინტერაქტიულ აქტივობებში ჩართულიყვნენ. ევროპის დღეზე გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტო წარსდა ორი განხორციელებული პროექტით: "ახალგაზრდების განვითარება განათლების გზით" (2019-2020წწ) და "დიახ! ახალგაზრდებს შეუძლიათ" (2021-2022 წწ).

- საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის მიზნით ნინო გოლოშვილი მუშაობს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ფეისბუქ გვერდზე, სადაც სააგენტოს განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაბამის აქტივობით დებს ინფორმაციას, ბევრ საინტერესო სიახლეს და საგრანტო კონკურსებს მოქალაქეებისათვის და არასამთავრობო სექტორისათვის, აქტიურად არის ჩართული მის პოპულარიზაციაში. ამ მიზნით ნინო გოლოშვილი იმყოფებოდა საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრის (GCSD) მიერ ორგანიზებულ „კიბერუსაფრთხოების“ ტრენინგზე, რომლის მიზანს წარმოადგენდა კიბერსაფრთხეების და დეზინფორმაციის წინააღმდეგ საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება. სასწავლო ტრენინგი ჩატარდება პროექტის - "ინფორმირებული თემები მედეგი საზოგადოებისთვის" - ფარგლებში, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში (სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი) მცხოვრები საზოგადოების გაძლიერებას კიბერ და დეზინფორმაციული საფრთხეების მიმართ.

- მომზადდა და დაფინანსების მოპოვების მიზნით, საქართველოში იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამას, წარედგინა საპროექტო განაცხადი, რომლის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის სოფლების საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისა და თანამშრომლებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა. პროექტის ამოცანაა გორის მუნიციპალიტეტის სოფლების 10 საბავშვო ბაღში კანალიზაციის ბიოლოგიური გამწმენდების დამონტაჟება. ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარები ცენტრალური კანალიზაციის ეკოლოგიური ალტერნატივაა. ბიოგამწმენდ დანადგარში ჩასული დაბინძურებული წყალი სუფთავდება ქიმიური და ორგანული ნარჩენებისგან.
- პოლონურ ორგანიზაცია Active Cultural Animators (Hrubieszow (Poland) - თან თანამშრომლობით, მომზადდა და საპროექტო განაცხადი წარედგინა The RITA – "Region in Transition" - ის საგრანტოპროგრამას. განაცხადის მიზანია ქართულ-პოლონური მეწარმეობის სკოლის შექმნას, რომელიც გულისხმობს მთელი რიგი საგანმანათლებლო და უნარების გამაძლიერებელი ღონისძიებების განხორციელებას: ონლაინ შეხვედრები, პოლონური მხარის ვიზიტი საქართველოში სექტემბერში, რომლის დროსაც ჩატარდება ვორქშოფები, ტრენინგები, კონსულტაციები, სახელმძღვანელოს შექმნა საოციალური მეწარმეობის შესახებ. ასევე, პროექტი ითვალისწინებს ჩვენი სააგენტოს მხარდაჭერას მატერიალური (ტექნიკური) რესურსების გაუმჯობესების გზით.
- მომზადდა საპროექტო განაცხადი და დაფინანსების მოპოვების მიზნით წარედგინა საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საელჩოს, სლოვაკეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის. პროექტი მიზნად ისახავს გორის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან რეგიონების განვითარებას, იქ ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნის გზით, რაც გულისხმობს მზის ენერგიის ფოტოელექტრული სადგურების დამონტაჟებას.
- გორის მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად, დამყარდა თანამშრომლობითი ურთიერთობა შვეიცარულ ორგანიზაციასთან, რომელმაც გორის მუნიციპალიტეტში დაიწყო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტის: „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში" განხორციელება. აღნიშნული პროექტის მიზანია ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში HELVETAS მცხოვრები მოსახლეობისათვის. ამ მიზნის მისაღწევად, პროექტი ხელს შეუწყობს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი ძირითადი ინსიტუტუციების (საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩათვლით) მიერ ერთობლივ გადაწყვეტილებების მიღებისა და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების (LED) მხარდამჭერი ინიციატივების განსაზღვრისა და განხორციელების პროცესებს. ამ ძალისხმევამ, თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის ჩართულობა მოქალაქეზე ორიენტირებული განვითარების ჩამოყალიბებაში. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის ყოველი აქტივობა საქართველოში ინოვაციურ, ციფრულ, გარემოსთან ჰარმონიაში მყოფ და ეკონომიკურად მდგრად განვითარების მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული. ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებული გამოწვევების საპასუხოდ, პროექტიხელს შეუწყობს სხვადასხვა სექტორის წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობის

პლატფორმის შექმნას. უფრო კონკრეტულად, პროექტი მიზნად ისახავს ისეთი ინიციატივების ხელშეწყობას, რომლებიც:

- გააძლიერებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებს შორის კოორდინაციას ადგილობრივი თავისებურებებისა და უპირატესობების უკეთ გამოსაყენებლად
- გააუმჯობესებს დაინტერესებული მხარეების უნარებს ხელი შეუწყონ ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებას
- დანერგავს სიახლეებს, სამიზნე რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გასაუმჯობესებლად
- დააახლოვებს საჯარო, კერძო და არასამთავრობო ინსტიტუციებს დასახული რეფორმირების ამოცანებთან და უზრუნველყოფს გლობალურ ბაზრებზე წვდომასა და განვითარების პლატფორმებისუკეთ გამოყენებას.

პროექტის პირდაპირი მოსარგებლეები იქნებიან LED სისტემაში ჩართული მხარეები (ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, კერძო კომპანიების, ბიზნეს ასოციაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები). პროექტის ხელშეწყობით, გაძლიერდება და განვითარდება მათი კავშირები და შესაძლებლობები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ადგილობრივი უპირატესობების ეფექტურად გამოყენებას. საბოლოო ჯამში, პროექტის შედეგებით ისარგებლებენ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ადამიანები, რომელთაც ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის პირობებში, მიეცემათ უკეთესი დასაქმებისა და შემოსავლებისზრდის შესაძლებლობა.

- 2023 წლის 7 აპრილს, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა LED კაფის ფორმატში ადგილობრივ ბიზნეს, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორს შორის. შეხვედრას ორგანიზება გაუწია გორის სტრატეგიული განვითარების სააგენტომ, ხოლო ფასილიტაცია ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების პროექტის წარმომადგენლებმა.

შეხვედრის ამოცანებს წარმოადგენდა:

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიზნით, ხალხის შეკრების, სოციალიზაციისა და იდეების გაცვლისთვის არაფორმალური სივრცის უზრუნველყოფა
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ საერთო ცოდნის გაზიარება
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების შესახებ ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირება
- ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით ძირითადი შესაძლებლობების გამოვლენა
- კერძო, საჯარო და არასამთავრობო სექტორებს შორის თანამშრომლობის ხელშესაწყობად, სამომავლო ნაბიჯების განსაზღვრა

მონაწილეები: 29 მონაწილე, სხვადასხვა სექტორიდან

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები
- ადგილობრივი საშუალო და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, ქალი მეწარმეებისა და სოციალური საწარმოების ჩათვლით (ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და სასტუმროს სფეროს წარმომადგენლები)

- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები

- 2023 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით მუდმივად ხორციელდებოდა გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული იმ წერილების აღრიცხვა, რომელთა საფუძველზეც ხდებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების მომზადება, საველე აზომვითი ნახაზების მომზადება, შენობა ნაგებობების შიდა და გარე აზომვითი სამუშაოების შესრულება და შესაბამისი ნახაზების მომზადება და სხვა. გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული წერილობითი დავალებების შესრულება, შესაბამისი ფორმით, ევალებოდა სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილების კონკრეტულ თანამშრომელს/თანამშრომლებს. ასევე ხორციელდებოდა შესრულებული სამუშაოს შესახებ საპასუხო წერილის მომზადება და აღნუსხვა.

სულ, 2023 წლის (03.01.2023- 19.05.2023) სივრცით მონაცემთა უზრუნველყოფის განყოფილებისთვის გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია 57 წერილი, ხოლო მომზადებული და გასულია 53 წერილი. თოთოეული მათგანი აღნუსხული და გატარებულია სათანადო წესით, როგორც შესაბამის ჟურნალში, ასევე ელექტრონულ ფორმაში.

2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 19 მაისამდე დახაზულია და აზომილია:

605 415.12 კვ.მ

სიტუაციური ნახაზი - 1 ცალი

დაკვალულია - 350 წერტილი

შიდა აზომვითი ნახაზები -1305.53 კვ.მ

ხაზოვანი - 1368